საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი სოფ. დიღომი s t r a b o n i s q. #14 s.k. 01.72.14.039.461

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორი: შ.პ.ს "ფლექს არქიტექტურა" / ირააკლი მაზიაშვილი

საფუძველი: მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტი

გამოსაკვლევი ნაწილები:

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას,

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას'

დ) გასასვლელების, გასასვლელებთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასება;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამიჯვნების შეფასებას;

კ) ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

მ) ლიფტების შეფასებას;

ნ) ღია ავტოსადგომის შეფასებას;

გამოკვლევა

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

საპროექტო ობიექტი წარმოადგენს ხუთი ფუნქციის და ხუთი დაკავებულობის მქონე შენობას , (სწ-2) და (დს) -3,00 ნიშნულზე, (სწ-2) +0,00 ნიშნულზე, (სვ) +0,00 ნიშნულზე, (სც-2) 3,80 ნიშნულიდან +23,00 ნიშნულის ჩათვლით და (სქ) +3,80 ნიშნულზე. შესაბამისად პროექტის ავტორის მიერ სწორად არის განსაზღვრული დაკავებულობა რაც შეესაბამება „წესების" 304, 305. 309, 310, 311 ქვეთავის მოთხოვნებს:

დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების" 1004.1.2 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ: საცხოვრებელი ბინებისთვის მიკუთვნებულია საცხოვრებელი სივრცის სტატუსი და შემდეგ მთლიანი ფართობი ფართობი კედლებს შორის, გადახურული აივნებით და საჰაერო/საკომუნიკაცია არხების გარეშე გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე ანუ 18,6-ზე. ავტოსადგომებისთვის მიკუთვნებულია სასაწყობო სივრცის სტატუსი და შემდეგ მთლიანი ფართობი ფართობი კედლებს შორის, გადახურული აივნებით და საჰაერო/საკომუნიკაცია არხების გარეშე გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე ანუ 18,6-ზე.
საოფისე ფართებისთვის მიკუთვნებულია საქმიანი სივრცის სტატუსი და შემდეგ მთლიანი ფართობი ფართობი კედლებს შორის, გადახურული აივნებით და საჰაერო/საკომუნიკაცია არხების გარეშე გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე ანუ 9,8-ზე. დამხმარე ფართებისთვის მიკუთვნებულია დამხმარე სივრცის სტატუსი და შემდეგ მთლიანი ფართობი ფართობი კედლებს შორის, გადახურული აივნებით და საჰაერო/ საკომუნიკაცია არხების გარეშე გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე ანუ 27,9-ზე.
კომერციული ფართისთვის მიკუთვნებულია სავაჭრო სივრცის სტატუსი და შემდეგ მთლიანი ფართობი ფართობი კედლებს შორის, გადახურული აივნებით და საჰაერო/საკომუნიკაცია არხების გარეშე გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე ანუ 2,8-ზე.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

პროექტის ავტორის მიერ საპროექტო შენობისთვის მიკუთვნებული კონსტრუქციის ტიპი I-B ტიპიშერჩეულია შენობის დაკავებულობის და სართულიანობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების" 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხი მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციის ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

საპროექტო ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპტან და აკმაყოფუილებს „ წესების" 503 ცხრილის მოთხოვნებს. შენობის მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონიდან არის 29,40 მ. (ბოლო დაკავებულობით დატვირთული ნიშნული +23,00)

დ) გასასვლელების, გასასვლელტან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

შენობის დაკავებულობისა და სართულიანობის გათვალისწინებით საჭიროა მინიმუმ 1 გასასვლელის მოწყობა რაც აკმაყოფლებს (ცხრილი 1021.2(1)) და (ცხრილი 1021.2(2)) , კერძოდ ყველა სართულს აქვს ერთი გასასვლელი დამოუკიდებელი გზა-კიბის სახით, რაც ბოლოვდება შენობიდან გასასვლეით. კიბეები სხვა სივრცეებისგან გამიჯნულია ცეცხლმედეგი კედლით. გზა-კიბე გადის პირდაპირ გარეთ, რაც აკმაყოფილებს 1018 ქვეთავის მოთხოვნებს;

გასასვლელთან მისადგომი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად. გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების" 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

ე) გზა კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამგარუნარიანობის შეფასება:

პროექტით წარმოდგენილი გზა კიბეების სიგანე არის 1,30 მ. რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კედლის მხარეს მოწყობილია სახელური 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. კიბის სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი 1013 ქვეთავის შესაბამისად. ასევე საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს: კიბის უჯრედში გათვალისწინებულია თავშესაფარი რომლის გაბარიტებიც და კონფიგურაცია შესაბამისობაშია მოთხოვნილ ნორმებთან.

სხვა გასასვლელი საშუალებებიც სწორად არის დაგეგმარებული კერძოდ:
დერეფნების მინიმალური სიგანე 1005.3.2 ქვეთავისა და 1018.2 ცხრილის გათვალისწინებით 1.2 მ. ია ხოლო პროექტით გათვალისწინებულია მინიმალური 1.8 მეტრი.
ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალებების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში ამაყოფილებს 1008.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს და იგი პროექტით შეადგენს 82 სმ-ზე მეტს.

სხვა გასასვლელი საშუალებებიც სწორად არის დაგეგმარებული კერძოდ:
დერეფნების მინიმალური სიგანე 1005.3.2 ქვეთავისა და 1018.2 ცხრილის გათვალისწინებით 1.2 მ. ია ხოლო პროექტით გათვალისწინებულია მინიმალური 1.5 მეტრი.
ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალებების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში ამაყოფილებს 1008.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს და იგი პროექტით შეადგენს 82 სმ-ზე მეტს.

ვ) მისაწვდომობის შეფასება:

ყველა კარი რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი. მისაწვდომი შესასვლელების რაოდენობა მისაღებია და აკმაყოფილებს 1105.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

ყველა საცხოვრებელი ერთეული არის მისაწვდომი:

მისაწვდომი სვლა გეზი სწორად არის განსაზღვრული.

დაცულია 1106.1 ქვეთავის და შესაბამისი ცხრილის მიხედვით გათვალისწინებული მისაწვდომი სადგომის რაოდენობა (2 სადგომი).

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

შენობის გარე კედლებს ესაჭიროება ხანძარმედეგობა (ცხრილი 602) და შესაბამისად გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 705.8 ცხრილის მიხედვით არის შეზღუდული. 602 ცხრილის თანახმად შენობა არის სც-ჯგუფის და IB კონსტრუქციის ტიპის კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა იყოს ცეცხლმედეგი რაც პროექტში გათვალისწინებულია და ყველა კედელს გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობა ყველა გარე კედელზე და ყველა ფასადის მხარეს .

თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

სახურავის კონსტრუქცია არის კარკასული მრავალშრიანი ქანობიანი გადახურვა , გააჩნია წყალარინი ღარები და მილები. გადახურვა 2 საათიანი ცეცხმედეგობის ხარისხისაა რაც აკმაყოფილებს 711.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

ი) ცეცხმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამიჯვნების შეფასება:

საპროექტო შენობაში საცხოვრებელი ერთეულები ერმანეთისგან 420.2 ქვეთავის შესაბამისად გამიჯნულია ცეცხლმედეგი ტიხრებით რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათი ასევე საცხოვრებელი ერთეულები თარაზულად გამიჯნულია 2 საათიანი ხარისხის იატაკის ანაწყობებით რაც აკმაყოფილებს 708.3 და 420.3 ქვეთავის მოთხოვნებს ასევე (ცხრილი 601) ასევე 711.3 ქვეთავი.

დერეფნები საცხოვრებელი ერთეულებისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ხარისხის ცეცხლმედეგი ტიხრებით რაც აკმაყოფილებს 1018.1 ცხრილის მოთხოვნებს.

კიბის უჯრედის კედლები 2 საათიანი ცეცხლმედეგობისაა და გააჩნია 2 საათიანი ხარისხის თვითკეტებადი კარი რაც შეესაბამება 1009.3.1.2 ქვეთავისა და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.:

შენობაში არსებული შახტების (ლიფტის, საჰაერო და საკომუნიკაციო შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათი რაც შეესაბამება 713.4 ქვეთავის მოთხოვნებს. საჰაერო შახტის ღიობები დაცული უნდა იყოს 717.5.3 ქვეთავის მიხედვით დაყენებული ცეცხლისა და კვამლის ფარსაკეტებით.

კ) ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება:

საპროექტო სც ჯგუფის სიმაღლე მიწის დონიდან 37 მ-ს და საქმიანი ჯგუფის სიმაღლე23 მ-ს არ აღემატება 903.2.8 ქვეთავის მიხედვით ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა აუცილებელი არ არის. თუმცა სარდაფის სართული მთლიანად აღწურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

აგრეთვე გათვალისწინებულია :

ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა მოწყობილია 907.5.2.2 ქვეთავის შესაბამისად.
სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში, კერძოდ თითოეული სამინებელი ფართობის ჭერზე განთავსდება კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის ერთ და მრავალბლოკიანი მოწყობილობები, თანახმად 907.2.11.2 პუნქტისა.

სახანძრო მილდგარების სისტემა 905.3.1 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილია ყველა სართულზე დერეფანში

კვამლის კონტროლის სისტემა რომელიც მოწყობილია ყველა დაკავებულ ერთეულში და საძილე ერთეულებში

ხელის ცეცხლმაქრი მოწყობილია 906 ქვეთავის შესაბამისად

სახანძრო განგაშის სისტემა მოწყობილია 907.2.13 ქვეთავის შესაბამისად

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენის სისტემის ფისქირებული მოწყობილობბების რაოდენობა შეესაბამება ,,წესების" 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს

მ) ლიფტების შეფასება:

ლიფტი აღჭურვილია დაწნევის სისტემით რაც აკმაყოფილების 713.14.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

ლიფტის შახტის ბოლოში მოწყობილია საჰაერო ნახვრეტები 1704.1 1704.2 და 1704.3 ქვეთავების შესაბამისად.

ლიფტის კაბინის გაბარიტები იძლევა იმის საშუალებას რომ მასში 60 სმ X 2.15 მ საკაცე განთავსდეს (1702.4 ქვეთავი).

ნ) ავტოსადგომის შეფასება:

ღია და დახურული ავტოსადგომები მოწყობილია გაბარიტებით 2.5 მ. X 5 მ. საპროექტო ტერიტორიაზე ავტომობილებით შესვლა და გამოსვლა ხდება ერთი მხრიდან . დაცულია შშმ ავტოსადგომის გაბარიტები. დაცულია ცალმხრივი და ორმხრვი მოძრაობის გაბარიტები. დატოვებულია საფეხმავლო გზები ადამინებისათვის შენობასთან მისადგომათ. მოწყობილი ავტოსადგომები აკმაყოფილებს მოთხოვნებს კერძოდ: ავტოსადგომის ზომები და განლაგება აკმაყოფილებს ,,წესების" 406.9.4.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს და ცხრილებს. პანდუსი მოწყობილია კანონის შესაბამისად მისი დახრის პროცენტულობა და გაბარიტები აკმაყოფილებს ნორმებს, სიგანე 3,5 მ. დახრის პროცენტულობები 10-16-10 %.

დასკვნა

ქ. თბილისი სოფ. დიღომი s t r a b o n i s q. #14 s.k. 01.72.14.039.461 მდებარე მიწის ნაკვეთზე საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი: - - - - - - - - - - - - - - - - - - ილია ხავთასი

გამოყენებული მასალები:

1. შ.პ.ს "ფლექს არქიტექტურას"-ს მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტი არქიტექტორი ირაკლი მაზიაშვილი

2. ..მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილება.

3. ,,ტექნიკური რეგლამენტის ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილება.

4.,,ტექნიკური რეგლამენტის ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის #498 დადგენილება. (#41 დადგენილების ცვლილება

დასკვნა

28.04.2025 წ.

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის #732 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი სოფ. დიღომი s t r a b o n i s q. #14 s.k. 01.72.14.039.461

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორი: შ.პ.ს "ფლექს არქიტექტურა" / ირააკლი მაზიაშვილი

გამოსაკვლევი ნაწილები:

"ტექნიკური რეგლამენტის "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის #732 დადგენილების შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) შენობის ბლოკების შეფასებას;

ბ) მისაწვდომი სვლაგეზების შეფასებას,

გ) ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტების შეფასებას'

დ) წყალსადენი ელემენტების და მოწყობილობების შეფასებას;

ე) საკომუნიკაციო ელემენტების და ფუნქციების შეფასებას;

ვ) სპეციალური ოთახების და სივრცეების შეფასება;

ზ) ჩაშენებული ავეჯის და მოწყობილობების შეფასებას;

თ) სარეკრეაციო მისაწვდომი საშუალებების შეფასებას;

ი) საცხოვრებელი ერთეულების და საძნებელი ერთეულების შეფასებას;

გამოკვლევა

ა) შენობის ბლოკების შეფასება:

საპროექტო შენობა 8 სართულიანია +3,80 ნიშნულიდან +23,00 ნიშნულამდე განთავსებულია ოფისები და საცხოვრებელი ბინები. შენობის ყველა ნიშნულზე იატაკის ზედაპირები მდგრადია მყარი და არასრიალა რაც შეესაბამება 302-ე ქვეთავს.იატაკის ზედაპირების დონე არ იცვლება.

მოსატრიალებელი სივრცეები მოწყობილია ახალი შენობების განკუთვნილი მოთხოვნებით და შეესაბამება 304-ე ქვეთავს. სურ. 304.3.1.1- ის შესაბამისად.

იატაკის თავისუფალი სივრცის ზომები შეესაბამება 305-ე ქვეთავს. სურ 305.3.1-ის შესაბამისად

შენობაშ არსებული ელემენტების ქვეშ მიჩნეული იატაკის თავისუფალი სივრცე შეესაბამება 306-ე ქვეთავს. საცხოვრებელი ბინის შიგნით მოწყობილია დეტალები მოწყობილია სურ. 306.2 (ა) და სურ 306.3 (ა)-ს შესაბამისად.

შენობაში მიმოსვლის ბილიკებზე გამოშვერილი საგნები და დეტალები არ არის გათვალისწინებული.

შენობის ყველა სივრცეში სადაც კი გათვალისწინებულია მისაწვდომი დიაპაზონი შეესაბამება 308-ე ქვეთავს. კარის სახელურები ლიფტის ღილაკები და სხვა მოწყობილია სურ. 308.2.1 -ის შესაბამისად ხოლო საცხოვრებელ ბინებში ნიჭარები და დეტალები მოწყობილია სურ. 308.2.2-ის (ა) ვარიანტის შესაბამისად.

ელემენტების სამართავები შეესაბამება 309-ე ქვეთავს.

ბ) მისაწვდომი სვლაგეზების შეფასება:

მისაწვდომის სვლა გეზები შეესაბამება 402-ე ქვეთავს.

პროექტით გათვალისწინებული სავალი ზედაპირები არ არის დახრილი, არ იცვლება დონე, მინიმალური რაც შეესაბამება 403-ე ქვეთავს.

პროექტით გათვალისწინებული მინიმალური თავისუფალი სიგანე შშეესაბამება 403.5 ქვეთავს და მოწყობილია შენობაში 0.9 მეტრი, შენობის გარეთ 1,2 მეტრი სურ. 403.5.1 (ა)-ს შესაბამისად. პროექტით გათვალისწინებული სვლა გეზის გაბარიტები აჭარბებს დადგენილებით გათვალისწინებულ მინიმუმს.

ყველა კარი, გზა-კარები და ჭიშკარი ასევე უკარო გზა-კარი მოწყობილია 404-ე ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს 404.2.3.2 , 404.2.3.3 და 404.2.3.4 ცხრილების მინიმალურ მოთხოვნებს.

პროექტით არ არის გათვალისწინებული პანდუსები.

შენობაში გათვალისწინებული ლიფტი შეესაბამება 407-ე ქვეთავს. ლიფტს გაჩნია მისადგომი ფოიე რომელიც ასევე გამოყენებულია თავშესაფარ სივრცედ, მისი გაბარიტები შესაბამისობაშია კანონით მოთხოვნილ მინიმალურ ზომებთან. ლიფტის სამართავი ღილაკების მინიმალური ზომა და სიმაღლე შესაბამისობაშია 407-ე ქვეთავის მოთხოვნებთან. შესაბამისი ნიშნები ბრაილი მოწყობილია მოცემული სტანდარტების შესაბამისად. ლიფტის კაბინის გაბარიტები აკმაყოფილებს 407.4.1 ცხრილის მინიმალურ მოთხოვნებს.

გ) ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტების შეფასება:

ეზოს სივრცეში მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებლად განკუთვნილი მისაწვდომი სივრცე მოწყობილია 502.2-502.8 ქვეთავის შესაბამისად.

გზა კიბეების საბიჯელები და შუბლები აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, განათება და ნიშნები მოწყობილია 504-ე ქვეთავის შესაბამისად. გზა კიბეების მარშის სიგანე და სუფთა სიგანე სახელურებს შორის 1.1 მ. შესაბამისობაშია მინიმალურ მოთხოვნებთან.

სახელურები მოწყობილია 505-ე ქვეთავის შესაბამისად.

დ) წყალსადენი ელემენტების და მოწყობილობების შეფასება:

შენობაში გათვალისწინებული წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები შეესაბამება მე-6 თაავის დებულებებს.
ტუალეტი და სააბაზანო ოთახი მოწყობილია 603-ე ქვეთავის შესაბამისად.

უნიტაზები და ტუალეტის ნაკვეთურები შესაბამისობაშია 603.6 ცხრილთან ასავე მათი თავისუფალი სივრცის ზომა და დასაჯდომის სიმაღლე შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ხელმოსაჭიდი ძელები მოწყობილია მოთხოვნების შესაბამისად.

ტუალეტის ნაკვეთურის კარი არ იღება ნაკვეთურის აუცილებელ მინიმალურ ფართობში.

ხელსაბანები და ნიჟარები მოწყობილია 606-ე ქვეთავის შესაბამისად.

საშხაპის ნაკვეთურები მოწყობილია 608-ე ქვეთავის შესაბამისად. მინიმალური ზომები დაცულია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

ყველა დეტალი შესაბამისობაშია მოცემულ გრაფიკულ ნომრებთან და მოწყობილია სურ 602.2.1 (ა), 602.2.1 (ბ), 602.2.3, 602.3.2, 604.2, 604.3, 604.11.4, 604.5.1, 604.5.2, 608.2.1.2 (ა)-ს შესაბამისად.

ე) შენობის ბლოკების შეფასება:

ხმოვანი და ვიზუალური განგაშის სისტემები მოწყობილია 106.2.4 ქვეთავში მითითებული NFPA 72 -ის შესაბამისად.

ნიშნები მოწყობილია 703-ე ქვეთავის შესაბამისად. ყველა ვიზუალური სიმბოლო აკმაყოფილებს 703.2.4 ცხრილის მოთხოვნებს.

ვ) სპეციალური ოთახების და სივრცეების შეფასება:

სამზარეულოები შეესაბამება 804-ე ქვეთავს. მისი თავისუფალი სივრცე მოწყობილობები ნიჟარები და სამუშაო ზედაპირები მოწყობილია მოთხოვნებთან შესაბამისობით.

ზ) ჩაშენებული ავეჯის და მოწყობილობების შეფასებას:

შენობაში არ არის გათვალისწინებული ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები.

თ) სარეკრეაციო მისაწვდომი საშუალებების შეფასებას:

პროექტი წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს შესაბამისად სარეკრეაციო მისაწვდომი საშუალებების მოთხოვნების შეფასება საპროექტო შენობას არ მოეთხოვება.

ი) საცხოვრებელი ერთეულების და საძნებელი ერთეულების შეფასებას:

საპროექტო მრავალფუნქციურ შენობაში საცხოვრებელი და საძილე ერთეულები მდებარეობს +3,80 ნიშნულიდან +23,00 ნიშნულამდე, . ჯამში საცხოვრებელი ბინების რაოდენობა შეადგენს 31 -ს, შესაბამისად პროექტით გათვალისწინებული აუცილებელი მისაწვდომი "ა" ტიპის ბნიების საერთო რაოდენობა შეადგენს 1-ს რომელიც მდებარეობს +23,00 ნიშნულზე (ბინა#29),) ნიშნულზე ხოლო პროექტით გათვალისწინებული დანარჩენი ყველა საცხოვრებელი ბინა "ბ" ტიპისაა და დაგეგმარებულია ისე რომ საჭიროების შემთხვევაში ყველა საცხოვრებელი ბინა (ერთეული) შესაძლებელია მოეწყოს "ა" ტიპის ერთეულად ვინაიდან შიდა ნებისმიერი ბინის სივრცე და გაბარიტები იძლევა აღშნიშნულის საშუალებას. წარმოდგენილი ნახაზებით და გრაფიკული დოკუმენტაციით დასტურდება ა და ბ ტიპის ბინებად მოწყობის შესაძლებლობა.

მისაწვდომი სვლაგეზი შეესაბამება 1102.3 ქვეთავს.

მოსატრიალებელი სივრცე შეესაბამება 1102.3.2 ქვეთავს.

სავალი ზედაპირები შეესაბამება 403-ე ქვეთავს.

კარები და გზა კარები შეესაბამება 404-ე ქვეთავს.

ელემენტების სამართავები შეესაბამება 309 ქვეთავს.

ტუალეტისა და აბაზანის მოწყობილობები შეესაბამება 1102.11.2 ქვეთავს.

სამზარეულოები შეესაბამება 804-ე ქვეთავს.

დასკვნა

ქ. თბილისი სოფ. დიღომი s t rab o n i s q. # 14 s.k. 01.72.14.039.461 მდებარე მიწის ნაკვეთზე საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია "ტექნიკური რეგლამენტის "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის #732 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი: - - - - - - - - - - - - - - - - ილია ხავთასი

გამოყენებული მასალები:

1. შ.პ.ს "ფლექს არქიტექტურას"-ს მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტი არქიტექტორი ირაკლი მაზიაშვილი

2. "ტექნიკური რეგლამენტის "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის #732 დადგენილება

3. ..მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილება.

4. ,,ტექნიკური რეგლამენტის ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილება.

5.,,ტექნიკური რეგლამენტის ,,შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის #498 დადგენილება. (#41 დადგენილების ცვლილება